სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის კლუბი „ჩვენ ერთად ყველაფერს შევძლებთ“

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კლუბის სტატუსი და წევრობა

სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის კლუბი ,,ჩვენერთადყველაფერსშევძლებთ“ ფუნქციონირებს ოთხი წელი.

კლუბის საქმიანობაში მონაწილეობა შეუძლია ყველა მოსწავლეს ვისაც სურვილი აქვს, მიუხედავად ასაკისა სამოტივაციო განცხადების საფუძველზე, რომელსაც მშობელთან ერთად წარმოადგენენ. კლუბის ძირითადი შემადგენლობაა თვითმმართველობის წევრები. ისინი მონაწილეობას იღებენ კლუბის წესდების ფორმირებაში და სამოქმედო გეგმის შედგენაში,

კლუბი სარგებლობს სკოლის მატერიალური ბაზით და მის კონტროლს ახორციელებს სკოლის დირექცია

მუხლი 2 კლუბის წევრების უფლებები და მოვალეობები

1 . სკოლა ვალდებულია დაიცვას მათი უფლებები და თავისუფლება, არ შეზღუდოს მათი ქმედება მათი უფლებების დასაცავად.

2. კლუბის წევრს ევალება იზრუნოს სამოქმედო გეგმის ყველა პუნქტის განხორციელებაზე. იყოს პასუხისმგებლიანი კლუბის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, იყოს კორექტული და პატივი სცეს სხვის აზრს,

მუხლი 3. კლუბის შემადგენლობითი სტრუქტურა

1. **კლუბს ხელმძღვანელობს** სკოლის დირექტორის მოადგილე და თვითმმართველობა
2. კლუბის შემადგენლობაში შედიან თვითმმართველობის წევრები (მე-7-12) კლასის მოსწავლეები.

მუხლი 4 კლუბის ხელმძღვანელი მასწავლებლის ფუნქციები :

- კლუბში გაწევრიანების მსურველთათვის წინასწარ ათავსებს სოციალურ ქსელში კლუბის ფუნქციონირების შესახებ.
- საკლუბო მუშაობის დასასრულს წარუდგენს რეფლექსიას კლუბის საქმიანობის შესახებ, შეძლო თუ არა კლუბის საქმიანობამ მიზნის მიღწევა,
- სკოლის სოც-მუშაკის დახმარებით მოიძიოს შეჭირვებული ოჯახები

მუხლი 5 კლუბის მიზნები: და ამოცანები

1. **მიზნები:**
    - მოსწავლეებში სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა
    - კომუნიკაციის უნარების გამომუშავება;
    - გუნდური მუშაობის უნარების ჩამოყალიბება;
    - პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება;
    - ოჯახის და თემის მხარდაჭერა
2. **ამოცანები:**

- მოვიძიოთ შეჭირვებული ოჯახები
- საჭირო ნივთებისა და პროდუქტების შეგროვება და დანაწილება ყუთებში
- შეგროვებული პროდუქტის დარიგება

მუხლი 6. კლუბის სამუშაო განრიგი

- კლუბი იკრიბება საჭიროებისამებრ.
- კლუბი მუშაობას იწყებს საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ